



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2160
26/12/2018

ქალაქი ბათუმი

2160-05-4-201812261442



ორთაბათუმის საბავშვო ბაღის სახურავის დაზიანებით გამოწვეული შენობისა და შიდა ინტერიერის დაზიანების შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარმოსადგენად კომისიის შექმნის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2017 წლის 23 ნოემბერს შ.პ.ს „კომპანიონ-სა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის, გაფორმებული №84 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს „კომპანიონი“ ასრულებდა სოფელ ორთაბათუმში საბავშვო ბაღის მშენებლობას, შ.პ.ს „კომპანიონი“-ს მიერ შესრულებული იქნა ბაღის სახურავის მოწყობის სამუშაოები. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 11.12.2017 წლის №2635 ბრძანების საფუძველზე აღნიშნულ კომპანიასთან ხელშეკრულება შეწყდა, გამომდინარე იქედან რომ აღნიშნული ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდა პირნათლად. ყოველივე ამის შემდეგ გამოცხადებული იქნა ახალი ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „მარდი“-სთან. შ.პ.ს. „მარდი“-ს მიერ სამუშაოების წარმოების პროცესში აღინიშნებოდა სახურავიდან წყლის ჩამოდინების ფაქტები, რაზედაც არაერთხელ წერილობით გაფრთხილებული იქნა შ.პ.ს. „კომპანიონი“, რათა აღნიშნული პრობლემა აღმოეფხრა, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად არ ხდებდა აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება. ასევე აღსანიშნავის, რომ შ.პ.ს. „კომპანიონი“ თან მიმდინარეობს სასამართლო დავა, სადაც დავის საგანს წარმოადგენს დაკისრებული პირგასამტეხლოსა და საგარანტიო თანხის მოთხოვნა, ეს განგრძობადი პროცესია. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დღეის მდგომარეობით არსებული გარემოება იწვევს ბაღის შიგა ინტერიერისა და ინვენტარის დაზიანებას, გამომდინარე აქედან, რათა აღმოეფხვრას ყოველივე ზემოთხსენებული დაუყოვნებლივ საჭიროა სახურავის შეკეთებითი სამუშაოების ჩატარება.

ზემოთაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შეიქმნას კომისია, რომელიც უზრუნველყოფს საბავშვო ბაღში არსებული დაზიანების შესწავლა/დაანგარიშებასა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენას.

ყოველი ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის გიორგი ქურდიძის 2018 წლის 25 დეკემბრის №3814-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად

ვბრძანებ:

1. ორთაბათუმის საბავშვო ბაღის სახურავის დაზიანებით გამოწვეული შენობისა და შიდა ინტერიერის დაზიანების შესწავლისა და შესაბამისი დასკვნის წარმოსადგენად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით

ა) კახაბერ ფუტკარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ვახტანგ დიასამიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თეიმურაზ გაწერელია - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დ) გიორგი ქურიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარე;

ე) მერაბ გვიანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ვ) ანა ბაჭაშვილი - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის მდივანი;

2. კომისიის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სამუშაო - ტექნიკური ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ხვიჩა ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის საპროექტო განყოფილების უფროსი - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) დავით ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი;

დ) სულხან ვერძაძე - ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“- დირექტორის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

3. დაევალოს კომისიას შეისწავლოს საბავშვო ბაღში წვიმის შედეგად არსებული დაზიანების შესწავლა და შესაბამისი დასკვნის წარგენა მუნიციპალიტეტის მერთან.

4. დაევალოს სამუშაო ჯგუფს ორთაბათუმის საბავშვო ბაღში არსებული დაზიანებაზე დეფექტური აქტის შედგენა და კომისიისთვის წარდგენა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

